HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS

საუბრები ლუსტრაციაზე

თბილისის გოეთეს ინსტიტუტისა და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს ორგანიზებით 2007 წლის 8 და 9 მარტი ლუსტრაციის თემაზე ფილმების ჩვენებასა და საუბრებს მიეძღნა.

8 მარტს კინოთეატრ "ამირანში" წარმოდგენილი იყო ფლორიან ფონ დონერსმარკის ფილმი "სხვების ცხოვრება".

9 მარტს გოეთეს ინსტიტუტში გაიმართა დისკუსია თემაზე - ლუსტრაცია.

მომხსენებლები - **იოახიმ გაუკი, გიგა ზედანია, ნიკოლოზ რურუა**[1], **ივლიანე ხაინდრავა.**

მოდერაცია - **ლაშა ბაქრაძე**.

[1] საპარლამენტო უმრავლესობიდან ძირითად მომხსენებლად მოწვეული იყო გიგა ბოკერია.

ლაშა ბაქრაძის შესავალი სიტყვა

ლუსტრაცია არის უაღრესად აქტუალური და საინტერესო თემა ჩვენი საზოგადოებისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით საუბარი მიმდინარეობს უკვე მას შემდეგ, როდესაც საქართველოს რესპუბლიკა დამოუკიდებელი გახდა, მაგრამ განსაკუთრებული აქტუალურობა სწორედ ვარდების რევოლუციის წინ შეიძინა, როდესაც ჩვენ - აქ მსხდომმა ადამიანებმაც - ხელი მოვაწერეთ "10 ნაბიჯს თავისუფლებისაკენ" სადაც ერთ-ერთი პუნქტი ლუსტრაციას ითვალისწინებდა. ლუსტრაცია ძალიან ფართო გაგებაა, ის სხვადასხვა დიფერენცირებულ საკითხებს შეიცავს, რომლის შესახებაც იქნება აქ საუბარი. ჩემთვის იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, მაგალითად, სხვადასხვა ლუსტრირებულ პირებს აეკრძალოთ გარკვეული თანამდებობების დაკავება, ვიდრე თავისთავად უმნიშვნელოვანეს საკითხად მიმაჩნია, რომ გამოჩნდეს, თუ ტოტალიტარული რეჟიმის როგორი მექანიზმები არსებობდა, როგორ მიმდინარეობდა ამ რეჟიმში ადამიანებზე ზეწოლა და როგორი არის დამოკიდებულება მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის.

დღევანდელი საუბარი კიდევ ერთხელ მისცემს ბიძგს დისკუსიას იმის თაობაზე, თუ როგორი და რა სახის ლუსტრაცია გვინდა რომ მოხდეს საქართველოში. ძალიან მოხარული ვარ, რომ გოეთეს ინსტიტუტის დირექტორის ბატონ უვე რიკენის მოწვევით, ამ დისკუსიაში მონაწილეობას იოახიმ გაუკი მიიღებს. მის სახელთან არის დაკავშირებული აღმოსავლეთ გერმანიაში ლუსტრაციის პროცესი. გერმანიისათვის გაუკი, შეიძლება ითქვას, ლეგენდარული ადამიანია, რადგან ის, რაც მისმა სამმართველომ გააკეთა, მართლაც სამაგალითოა ყველა პოსტკომუნისტური რეჟიმის ქვეყნისათვის. ჩვენთვის ამ გამოცდილების მოსმენა ძალიან საინტერესო იქნება. ამასთანავე, ბატონი გაუკი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მდგომარეობასაც კარგად იცნობს, მას ეპატიჟებიან ხოლმე ამ ქვეყნებში, ეკითხებიან აზრს და ა.შ. ამიტომ განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ამის შესაძლებლობა დღეს ჩვენც მოგვეცა.

იოახიმ გაუკის[2] სიტყვა

პირველ რიგში, დიდი მადლობა მოპატიჟებისათვის. ყოველთვის, როდესაც პოსტსაბჭოთა სივრცის რომელიმე ქვეყანაში ვხვდები, სულ ერთიდაიგივე საკითხია, რაც თვალში მხვდება და რაც ჩემთვის შემზარავია – ერთი არის უზარმაზარი მოცულობა იმ ბოროტებისა და უსამართლობისა, რაც იქნა ჩადენილი კომუნისტური რეჟიმის მიერ და მეორე – უცნაური გულგრილობა თუ სიმშვიდე მათი მხრიდან, ვის წინააღმდეგაც იყო ეს რეჟიმი მიმართული. ასე თუ ისე, ყოველ ჯერზე მე ვგრძნობ ოჯახების შიგნით, იმ ადამიანების წრეში ვინც ამ მოვლენებთან იყო დაკავშირებული, წარსული ფაქტების გახსენებისგან თავშეკავებას. რატომღაც ამას თავს არიდებენ. ამიტომაც მე დღეს ძალიან მიხარია, რომ აქ ბევრი ხალხი შეიკრიბა. ყოველთვის ვცდილობ მხარი დავუჭირო, ხელი შევუწყო იმ ადამიანებს, რომლებიც ამბობენ: მე უნდა გავიხსენო, გავიგო რა ხდებოდა მაშინ, რატომღაც ასეთი ხალხი ყოველთვის უმცირესობაშია.

ჩემი სიტყვა პირადი შთაბეჭდილებით მინდა დავიწყო: მე პირველად ვარ თქვენს ქვეყანაში და პირველივე დღეს, როდესაც შევედი მუზეუმში[3], ვნახე ფოტოები, რომელიც ჩვენთვის, ერთის მხრივ, სრულიად ახალი და უცნობი იყო, და მეორეს მხრივ, ძალიან კარგად ნაცნობი. ნაცნობი იყო, რადგან ჩვენც საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის შიგნით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვცხოვრობდით. ასევე მინდა ვთქვა, რომ მე პირადად, პატარაობის ასაკშივე შევეხე ამ სტალინისტურ რეჟიმს. 1951 წელს - მამაჩემი, რომელიც მეზღვაური იყო, ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად დააპატიმრეს და ყოველგვარი სასამართლოს გარეშე ორჯერ მიუსაჯეს გადასახლების 25 წელი ციმბირში. მამაჩემი საბედნიეროდ 1956 წელს აღმოსავლეთ გერმანიაში დაბრუნდა. როდესაც გავიზარდე, გადავწყვიტე, მესწავლა თეოლოგია, გავხდი ევანგელისტური ეკლესიის პასტორი და, ალბათ, თქვენთვის გასაგებია, რომ ეს ნიშნავდა, რომ მე ოპოზიციურად განწყობილი ვიყავი არსებული სისტემის მიმართ. 80-იანი წლების ბოლოს მე უკვე მშვიდობიანი რევოლუციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვიყავი ჩემს მშობლიურ ქალაქში - როსტოკში. ამის შემდეგ, მე პარტია "90-იანელთა კავშირიდან"[4] პირველი თავისუფლად არჩეული პარლამენტის წევრი გავხდი. ამას მოჰყვა ჩემი პოლიტიკური საქმიანობა.

---

[2] იოახიმ გაუკი **(Joachim Gauck)** - *1940 - ყოფილი გდრ-ის "შტაზის" (სახელმწიფო უშიშროების სამსახურის) არქივების გაშუქებისათვის უფლებამოსილი ფედერალური სამმართველოს პირველი ხელმძღვანელი. გდრ-ის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის არქივების ფედერალური სამმართველო (Bundesbeauftragte für die Unterlagen des Staatssicherheitsdienstes der ehemaligen DDR (BstU)) 89 წლის მშვიდობიანი რევოლუციის შემდეგ დიდი ძალისხმევის შედეგად დააარსეს სახალხო კომიტეტის წევრებმა და სახალხო მოძრაობის მონაწილეებმა იმისათვის, რომ გდრ-ის უშიშროების (შტაზის) აქტები არ დაკარგულიყო. ამ ფედერალური სამმართველოს პირველი ხელმძღვანელი იყო პასტორი **იოახიმ გაუკი**, რომლის ხანგრძლივი და წარმატებული ხელმძღვანელობის შედეგად ამ ინსტანციას შემოკლებით **გაუკის სამმართველოს** უწოდებდნენ.
2000 წლიდან ამ სამმართველოს მართავს **მარიანე ბირტლერი**. გერმანიის მოქალაქეებს დღესაც აქვთ საშუალება გაეცნონ მათზე შექმნილ აქტებს.

[3] იგულისხმება საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი.

[4] Bündnis 90.

ახლა მე მოგახსენებთ, თუ რა წინაპირობებმა მოგვცა ჩვენ საშუალება, ასე სწრაფად გაგვეტარებინა გერმანიაში ლუსტრაციის პროცესი. ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელიც რადიკალურად განასხვავებს გერმანიას სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისგან, იყო ის, რომ, როდესაც 1989 წელს მშვიდობიანი რევოლუცია ხდებოდა, როდესაც პროტესტის ნიშნად ჩვენ კვირების მანძილზე ვიდექით ქუჩაში, 1989 წლის დეკემბერში მოვახერხეთ შტაზის შენობაში შესვლა. მოქალაქეთა კომიტეტები შევედით და პრაქტიკულად ამ შენობის ოკუპაცია მოვახდინეთ. ჩვენ თან გვყავდა სახალხო პოლიციის და სამხედრო ადვოკატურის წარმომადგნელები. ამით ეს ორი ძალა - უშიშროების სამინისიტრო და სახალხო პოლიცია ერთმანეთს დავუპირისპირეთ. ამგვარად შევაჩერეთ "შტაზის" შენობაში არსებული აქტების განადგურების პროცესი. გარდა ამისა, გარდამავალმა მთავრობამ მიაღწია იმას, რომ ეს "შტაზი" მთლიანად დაშალა - როგორც საგარეო შპიონაჟის, ასევე შიგნით არსებული აგენტურის განყოფილებები. სწორედ ეს განასხვავებს გერმანიას სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისგან, ეს არსად სხვაგან არ მომხდარა. ამიტომ, პირველ დამოუკიდებელ პარლამენტში 1990 წლის გაზაფხულზე, ჩვენ ძალიან კარგი წინაპირობა გვქონდა იმისათვის, რომ კომუნიზმის დანატოვარი მთლიანად შეგვესწავლა და გამოგვეყენებინა. უკვე 1990 წლის ზაფხულში გერმანიის გაერთიანებამდე, პირველ პარლამენტში, მე, როგორც დეპუტატმა, მოვახერხე და დავარწმუნე, როგორც მმართველი პარტიის, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლები, რომ გვქონოდა საერთო დამოკიდებულება ამ საკითხზე. სხვადასხვა მიმართულების, მაგრამ დემოკრატიულად განწყობილი ძალები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ამ ტოტალიტარული მემკვიდრეობის მიმართ, ერთსულოვანი დამოკიდებულება ყოფილიყო. ჩვენ მივიღეთ კანონი[5], რომლის თანახმადაც ყველა ამ საიდუმლო სამსახურის დოკუმენტები უნდა გამხდარიყო საჯარო. და ეს სულ სხვა არის - დოკუმენტების საჯაროობის კანონი არ არის ლუსტრაციის კანონი.

მაშინ, რა თქმა უნდა არსებობდა ამგვარი ტენდენციაც, რომ აქტების გახსნის და შემდეგ დახურვის შემდეგ, დაგვეხუჭა თვალები და არსებობა გაგვეგრძელებინა იქიდან, სადაც მაშინ ვიმყოფებოდით. მაგრამ ამის გამოცდილება ჩვენ ომის შემდგომ პერიოდში უკვე გვქონდა. მაშინ თითქოს ითვლებოდა, რომ გარკვეული მორალური მოსაზრებების გამო, წარსულში ქექვა არ იყო მიზანშეწონილი. ერთმა თაობამ თავი მოიკატუნა - თითქოს ებრაელების დევნა არ ყოფილა და ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, ერთი თაობის შემდეგ ამან ხელმეორედ იფეთქა. ამგვარი მოდელით სარგებლობენ ისინი, ვინც წინა რეჟიმის ესტაბლიშმენტში იყო და იჩაგრება ის, ვინც წარსულშიც დაჩაგრული იყო.

ჩვენ ვსაუბრობდით თანასწორობაზე _ ვისაც ადრე ჰქონდა ძალაუფლება ხელში, მისთვის ეს საიდუმლო საქმეები მაშინაც ცნობილი იყო. აქედან გამომდინარე, ჩვენ ყოფილი ჩაგრულნი

[5] შტაზის აქტების კანონი - 1991 წლის 29 დეკემბერს გერმანიის ბუნდესტაგის ხმათა უმრავლესობით ძალაში შევიდა შტაზის აქტების კანონი. ეს კანონი ითვალისწინებდა ყოფილი უშიშროების სამსახურის აქტების სრულ გახსნას და განსაკუთრებით დაზარალებულთათვის შესაძლებლობის მიცემას, გასცნობოდნენ მათზე არსებულ აქტებს. 2000 წლის ოქტომბრამდე 1,7 მილიონმა კერძო პირმა გამოთქვა სურვილი, ენახა დოკუმენტაცია საკუთარ თავზე.

და დევნილნი ინფორმაციული თვალსაზრისით სწორედ მათ გავუთანაბრეთ. როდესაც დაისვა შეკითხვა, თუ რისთვის კეთდება ეს ყველაფერი, ჩვენ ვუპასუხეთ: - ეს უნდა იყოს მომხდარი ფაქტების ისტორიული, პოლიტიკური და იურიდიული გადამუშავება, დაძლევა.

ეს ეხმიანება კარლ იასპერსის[6] ცნობილ ფორმულირებას, რომელიც მან გააკეთა ომის შემდეგ: – დანაშაული ყოველთვის არსებობს რამდენიმე განზომილებაში.

პირველი - ეს არის დანაშაულის სამართლებრივი მხარე, შემდეგ - მორალური მხარე. რელიგიური ადამიანებისათვის ეს არის დანაშაულის მეტაფიზიკური მხარე. და ბოლოს, არსებობს პოლიტიკური პასუხისმგებლობაც. ჩვენ ვსაუბრობთ, რომ ეს დანაშაული უნდა გავაანალიზოთ, თვითოეულ ასპექტს სჭირდება საკუთარი ინსტანცია, რომელიც ყოველ მათგანს დაამუშავებს და იქნება მასზე პასუხისმგებელი. როდესაც საქმე ეხება დანაშაულის სამართლებრივ მხარეს, რა თქმა უნდა, ამაზე პასუხისმგებელი არის სასამართლო. როცა საუბარი არის მორალურ დანაშაულზე – ეს ინსტანცია ვართ მე და თქვენ, ანუ ის ადამიანები, რომელთაც ერთმანეთის წინაშე მიგვიძღვის დანაშაული. როდესაც საუბარია დანაშაულის მეტაფიზიკურ მხარეზე, მაშინ უნდა მივმართოთ ღმერთს და მისგან ვითხოვოთ მიტევება. მაგრამ, როდესაც პოლიტიკურ დანაშაულზეა ლაპარაკი – ამაზე უნდა არსებობდეს საზოგადოებრივი დისკურსი. ლუსტრაცია არის დანაშაულის სამართლებრივი, პოლიტიკური და ისტორიული შეფასების მხოლოდ ნაწილი. ამიტომ, დღეს ჩვენ გაცილებით მეტზე ვსაუბრობთ, ვიდრე ლუსტრაციაა.

გავაგრძელებ საუბარს... მთელი ეს გასაიდუმლოებული დოკუმენტები და აქტები გადაეცა დამოუკიდებელ ორგანოს, ისე რომ ამ აქტებზე პასუხისმგებელი არა შინაგან საქმეთა მინისტრი თუ სამინისტრო, არამედ ეს დამოუკიდებელი ორგანო იყო. ამ დოკუმენტების საჯაროობის პირველადი დანიშნულება იყო იმ ადამიანების გამოვლენა, რომელნიც მალულად თანამშრომლობდნენ ტოტალიტარულ სისტემასთან, სხვა ადამიანების წინააღმდეგ. სწორედ ამ ადამიანების, მომავალში, საჯარო სამსახურისთვის მათი უვარგისად გამოცხადება იყო პირველადი მიზანი. ეს არის ის, რასაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ლუსტრაციას ეძახიან. ეს კანონი გერმანიის პარლამენტმა 15 წლის ვადით მიიღო, თუმცა ამ კანონის მოქმედება, ხელისუფლების მაღალი თანამდებობის მსურველთათვის გაგრძელდა.

ლუსტრაციის შემდეგი დანიშნულება არის ყველა მოქალაქის უფლების გათვალისწინება, გაეცნოს საკუთარ საქმეს ანუ იმ მასალას, რაც მის წინააღმდეგ არსებობდა. ამას არავითარი დასაბუთება არ სჭირდება, ამას სჭირდება მხოლოდ სურვილი. უნდა ისიც ითქვას, რომ არიან ადამიანები, რომელთაც არ უნდათ საკუთარი დოკუმენტების გაცნობა, მაგრამ სხვანაირებიც

[6] კარლ თეოდორ იასპერსი (1883-1969) - გერმანელი ფილოსოფოსი. ბრალეულობის კრიმინალურ, პოლიტიკურ, მორალურსა და მეტაფიზიკურ განზომილებებზე იასპერსი მსჯელობს ნარკვევში „ბრალეულობის საკითხი“ (Die Schuldfrage), რომელიც ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციის საფუძველზე შეიქმნა და 1946 წელს გამოქვეყნდა. ნარკვევი წარმოადგენს ნაცისტური ეპოქის გადააზრებისა და შეფასების მნიშვნელოვან დოკუმენტს.

ხომ არიან – რომელთაც სურთ იცოდნენ, თუ ვინ დაასმინა, როდის და რა ვითარებაში. როდესაც ასეთები ამ აქტებს გავეცანით, პირველ რიგში, ბუნებრივია, ჩვენ გავიგეთ იმ ადამიანების ვინაობა ვინც ჩვენ დაგვასმინა, მაგრამ ამავე დროს ჩვენ გავიგეთ, რომ არსებობდნენ ისეთი არაჩვეულებრივი ადამიანებიც, რომელთაც ეყოთ სითამამე, არ წასულიყვნენ "შტაზის" მიერ შეთავაზებულ გარიგებაზე. ასე, რომ ამ გახსნილი დოკუმენტებიდან არა მხოლოდ ნეგატიური ინფორმაცია მოდის. და ბოლოს, ამ აქტების მესამე მხარე, სადაც საქმე ეხებოდა სამართლებრივ დანაშაულს. მაგალითად, იმ ადამიანების სიკვდილით დასჯა, რომელნიც საზაღვრო კედლის გადაკვეთას ცდილობდნენ - ეს აღიარებულ იქნა, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული. მეორეს მხრივ, დანაშაულის სამართლებრივი შეფასება იმ ადამიანებისთვის იყო მნიშვნელოვანი, ვინც ამ პერიოდში სრულიად უსაფუძვლოდ დაისაჯა. ამ აქტების გახსნის საფუძველზე მათ საკუთარი თავის რეაბილიტაცია იურიდიულად მოახდინეს და სახელმწიფოსგან მატერიალური კომპენსაციაც კი მიიღეს.

ლუსტრაცია ასევე აუცილებელია საკუთარი ისტორიის კვლევისათვის. მაგალითად, ისტორიკოსებისათვის თუ მედიის წარმომადგენელთათვის, რომელნიც უახლოეს ისტორიას იკვლევენ, მათ განაცხადის საფუძველზე ეძლევათ საშუალება ჩაიხედონ "შტაზის" დოკუმენტებში, მაგრამ არა ყველგან, ანუ არა მსხვერპლთა აქტებში, აქ მათ სჭირდებათ თავად ამ კერძო პირის თანხმობა.

გერმანიაში ლუსტრაციის პროცესის 15 წელი გავიდა უკვე და შეიძლება ითქვას, რომ ამგვარმა მიდგომამ გაამართლა. საჯარო სამსახური პრაქტიკულად მთლიანად გაიწმინდა "შტაზის" ყოფილი თანამშრომლებისგან. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ ეს ყველას ერთნაირად არ შეხებია, შეფასება მოხდა "შტაზისთან" თანამშრომლობის აქტიურობის საფუძველზე. ზოგიერთ მათგანს დღესაც აქვს მასწავლებლად ან პოლიციელად მუშაობის უფლება, ეს მისი დანაშაულის ხარისხიდან გამომდინარეობს. უნდა გითხრათ, რომ ამ დოკუმენტების დამუშავების პროცესი ჩვენთან დღემდე გრძელდება; ადამიანმა, რომელიც ჩემს შემდეგ ამ პროცესს ხელმძღვანელობს, უკანასკნელი წლების მანძილზე კიდევ 80 000 განაცხადი დაამუშავა – განაცხადი, ანუ მათი მოთხოვნა, ვისაც საკუთარ "საქმესთან" გაცნობა სურდა. ამ პროცესმა ერთმნიშვნელოვნად გაამართლა, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე არსებობდა ამგვარი შიში - ამ აქტების გახსნას არანაკლები აგრესია, შურისძიების მცდელობა არ მოჰყოლოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა! ამ პროცესის ამოსავალი მოსაზრება იყო ის, რომ მომხდარიყო შერიგება და ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუკი ჩვენ საკუთარ ისტორიას სრულად გავაანალიზებდით და გავიგებდით კონკრეტულად - რა სახის ფაქტებთან გვქონდა საქმე?! ამის შემდეგ იყო შესაძლებელი საუბარი - შეწყნარებაზე, პატიებაზე და საზოგადოების გაერთიანებაზე.

ლაშა ბაქრაძე – სამწუხაროდ ჩვენ, გერმანელებისგან განსხვავებით ლუსტრაცია 15-17 წლით დავაგვიანეთ. ამიტომ, მაგალითად ის ლუსტრაციის კანონი, რომელიც ოპოზიციამ საპარლამენტო განხილვაზე გაიტანა, ჩემთვის ცალმხრივი იყო, რადგან ისევ და ისევ იმაზე

იყო საუბარი, რომ ადამიანებს, რომელნიც თანამშრომლობდნენ ან იყვნენ მაღალჩინოსნები კომუნისტური რეჟიმის დროს, მათთვის შეზღუდული იყოს საჯარო სამსახურში მუშაობა. ვფიქრობ, რომ ისტორიისადმი დამოკიდებულების ეს ნაწილი აუცილებელია, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია, სწორედ ისტორიის ამ ნაწილის გაანალიზება, დაძლევა, გადამუშავება, რომელიც სწორედ ამ აქტების გახნის შედეგად უნდა მოხდეს.

როგორც ვიცით, შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის, ასე ვთქვათ "კაგებეს" დანატოვრიდან ცნობილია 23 ათასი ყოფილი შტატგარეშე აგენტის სახელი. დასაწყისისათვის საინტერესოა, როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა, რომ ეს სახელები გამოქვეყნდეს. ხელისუფლების მხარე წლების განმავლობაში ამბობდა, რომ დამოუკიდებლობის დროს ამ ადამიანების გადაბირება მოხდა და აქედან გამომდინარე, არ იქნებოდა მიზანშეწონილი მათი სახელების გამოქვეყნება. როგორია თქვენი მოსაზრება, უნდა გახდეს თუ არა ეს სახელები ცნობილი საზოგადოებისათვის?

ივლიანე ხაინდრავას სიტყვა – "ნაბიჯი თავისუფლებისკენ"

დღეს 9 მარტია. ვერ გეტყვით, ამ შეხვედრის ორგანიზატორთა ჩანაფიქრია, თუ უბრალო დამთხვევა, მაგრამ დღეს ზუსტად 51 წელი შესრულდა, რაც თბილისში კავშირგაბმულობის სახლთან და მშრალ ხიდთან უიარაღო მანიფესტანტები დახვრიტეს. ჩვენ დღემდე არ ვიცით არც დახოცილთა და დაჭრილთა რიცხვი, არც მსხვერპლთა და ჯალათთა ვინაობა.

თბილისის მოვლენები ბუნებრივად გადაფარა უნგრეთში კომუნისტური დიქტატურის წინააღმდეგ სახალხო აჯანყების სისხლიანმა ჩახშობამ. შარშან, ამ მოვლენის 50 წლისთავზე, ევროპარლამენტმა საჭიროდ მიიჩნია კვლავ მიეგო პატივი აჯანყებულთა მამაცობისთვის და, კერძოდ, აღენიშნა: "ევროპარლამენტის წევრები ხაზს უსვამენ, რომ დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ (ცომმუნიტყ) ერთმნიშვნელოვნად უნდა უარყოს რეპრესიული და არადემოკრატიული კომუნისტური იდეოლოგია..." და მოუწოდა დემოკრატიულ ქვეყნებს ცხადად და მკაფიოდ დაგმონ ტოტალიტარული რეჟიმების მიერ ჩადენილი დანაშაულები[7].

მაგრამ დავუბრუნდეთ 1956 წლის თბილისს; აქ, რკინის ფარდის მიღმა, ტირანის ავტორიტეტის დასაცავად გამოვიდა ხალხი, რაც გახსენებადაც არ ღირსო – ამგვარია მოარული შეფასება იმ სისხლისღვრისა. მაგრამ მოვლენის მსგავსი შეფასება არ არის ამომწურავი – ხალხი აპროტესტებდა იმას, რომ კაცთმოძულე რეჟიმის ყველა დანაშაული სტალინს, და მხოლოდ მას, მიაწერეს. არ არის საკამათო, რომ სტალინის დროს რეპრესიებმა გიგანტურ, ყოვლისმომცველ მასშტაბს მიაღწია და იგი ცენტრალურ ადგილს დაიკავებდა ბოლშევიკ დამნაშავეთა "პრეზიდიუმში", მაგრამ მისით არც დაწყებულა და არც დამთავრებულა. ტოტალური ტერორი საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ კომუნიზმის იდეოლოგიური საფუძველი იყო საბჭოთა კავშირში, ჩინეთში, კამპუჩიაში, კუბაში, რუმინეთში თუ "სოციალისტური ბანაკის" სხვა ქვეყნებში. აგონიაში მყოფმა კომუნისტურმა რეჟიმმა 1980-90 წლების მიჯნაზე კიდევ მოიქნია კუდი თბილისში, ბაქოში, ვილნიუსში. სხვათა შორის, თუ 9 აპრილის მსხვერპლთა ვინაობა ცნობილია, დღესაც ბოლომდე გაურკვეველი რჩება საბჭოთა რეჟიმის ამ ერთ-ერთი ბოლო დანაშაულის ორი არც თუ უმნიშვნელო მონაწილის – შევარდნაძისა და პატიაშვილის – ჭეშმარიტი როლი. პირველი მათგანი უკბილო მემუარების წერითაა დაკავებული ახლა, მეორე – საქართველოს პარლამენტის წევრია.

ჩემს თანამოაზრეებთან ერთად მე ვფიქრობ, რომ კომუნიზმს დიაღაც სჭირდება თავისი ნიურნბერგის პროცესი (ამაზე საუბარია, მათ შორის, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2006 წლის #1481 რეზოლუციაშიც); მაგრამ ასეთი პროცესი, სასურველია, რუსეთში გაიმართოს ოდესმე. რუსეთში – კომუნისტური იმპერიის მეტროპოლიაში და არა, მაგალითად, მის ერთ-ერთ პატარა კოლონია საქართველოში, თუ ევროპის რომელიმე სხვა

[7] http://www.europarl.europa.eu/news/expert/infopress_page/008-11928-293-10-42-901-20061020IPR11874-20-10-2006-2006-false/default_en.htm

ქვეყანაში. თუმცა, ცხადია ისიც, რომ განჭვრეტად მომავალში ამას პირი არ უჩანს – რუსეთში საბჭოთა ჰიმნი აღადგინეს და ქვეყნის ხელმძღვანელობა "კგბ-ეშნიკებს" ჩააბარეს.

იმავდროულად, ჩვენ არ ვართ რევანშიზმისა და შურისძიების გრძნობებით შეპყრობილი ადამიანები; გვესმის, რომ პარტიულ-კომკავშირული ნომენკლატურის, რეპრესიული ორგანოების მუშაკებისა და სპეცსამსახურებთან მეტად თუ ნაკლებად ნებაყოფლობით მოთანამშრომლე ფარული დამსმენებისაგან განსხვავებით, კომპარტიის რიგითი წევრები უშუალოდ არ მონაწილეობდნენ ტერორში, ხშირად კი თავად ხდებოდნენ რეპრესიების მსხვერპლნი. მაგრამ კომუნისტური პარტიის წევრობა ნამდვილად იყო კონფორმიზმის აქტი. კონფორმიზმი, მოგეხსენებათ, სისხლის სამართლის დანაშაულს არ წარმოადგენს, თუმცა სწორედ კომპარტიის რიგითი წევრების მდუმარე თანხმობითა და მათივე სახელით ხდებოდა ის, რაც ხდებოდა. მათ, ვისაც ეს ჯერ-ჯერობით ვერ გაუგია, უნდა გაიგონ.

კომუნიზმის გამასამართლებელი საერთაშორისო ტრიბუნალის არარსებობის პირობებში კოლონიათა უმრავლესობამ (იძულებით გაკომუნისტებულმა და დაპყრობილ-დამორჩილებულმა ქვეყნებმა) მიმართა ლუსტრაციას ან შინაარსობრივად მსგავს ქმედებებს. სხვადასხვა ქვეყანაში სიმკაცრის განსხვავებული დოზის მიუხედავად, თავად ფაქტი მსგავსი კანონის მოქმედებისა არა მხოლოდ სამართლებრივად, არამედ მორალურად ანადგურებს და ასამარებს კომუნიზმს კონკრეტულ ქვეყანაში.

ჩვენში? შევარდნაძის ხელისუფლებაზე, გასაგები მიზეზების გამო, არ ვლაპარაკობ; ამ თვალსაზრისით ქართველები განსაკუთრებით ორიგინალურები ვერ ვართ – სხვებსაც უბოძებიათ საპრეზიდენტო სავარძელი ბობოლა კომუნისტებისთვის მაშინ, როცა მათი დრო წარსულს უნდა ჩაბარებოდა. ამჟამინდელი რევოლუციური ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის სათავეში სწორედ შევარდნაძის რეჟიმის უარყოფის ტალღაზე მოვიდა, სამოქმედო პროგრამის სახით მხოლოდ პოლიტიკურ ძალთა და ავტორიტეტულ არასამთავრობო ორგანიზაციათა ნაწილის მიერ ერთობლივად მიღებულ დოკუმენტს ფლობდა სახელწოდებით "ათი ნაბიჯი თავისუფლებისკენ". ამ დოკუმენტის პირველივე პუნქტი აუწყებდა საზოგადოებას, რომ განხორციელდებოდა "სახელმწიფო მართვის საბჭოური სისტემის რეფორმა და მისი დაწყებისთვის – საბჭოთა უშიშროების სამსახურების თანამშრომელთა და კომუნისტური პარტიის ნომენკლატურის წარმომადგენელთათვის მაღალი სახელმწიფო თანამდებობების დაკავების შეზღუდვა". ცხადია, ეს უნდა მომხდარიყო კანონის ძალით და არა ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებით. ამის ნაცვლად ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებამ "საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი" დააარსა. თავისთავად ასეთი მუზეუმის არსებობის წინააღმდეგი არ ვარ, რადგანაც საქართველოს მიმართ მართლაც განხორციელდა აგრესია ბილშევიკური რუსეთის მხრიდან და მოხდა მისი ოკუპაცია და ძალდატანებით გასაბჭოება. მაგრამ ლუსტრაციის შესახებ კანონის (ან მსგავსი აქტის) ამოქმედების გარეშე მუზეუმის დაარსება გაუტოლდა ტიპიურ ფარისევლობას: ჩვენ, ქართველებმა, რა ვქნათ? ჩვენ ოკუპაციისა და თავსმოხვეული კომუნიზმის უბრალო

მსხვერპლი ვართ, ჩვენ უცხოებმა დაგვატეხეს თავს რეპრესიები და ჩვენ, ქართველებს, რა პასუხი მოგვეთხოვება?

ტყუილი! სახიფათო ტყუილი!

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვართ მხოლოდ მსხვერპლნი, ჩვენ ჯალათებიც ვართ, რადგანაც ვართ მონაწილეები კომუნისტური ტერორისა. და არა მხოლოდ სახელგანთქმული ჯალათებისა თუ კომუნისტური იდეოლოგიისა და პროპაგანდის ავტორთა დონეზე. 1000 სულ მოსახლეზე (არასრულწლოვანთა ჩათვლით) კომპარტიის წევრთა რიცხვით ჩვენ მოწინავე პოზიციებზე ვიყავით საბჭოთა კავშირში; თუ სწორად მახსოვს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლამის ყოველი მეათე მაცხოვრებელი კომპარტიის წევრი იყო: 400 ათასზე მეტი კომუნისტი ერთ პატარა რესპუბლიკაში! ამას კომკავშირლებიც მიუმატეთ (ყოველ შემთხვევაში – მათი აქტიური ნაწილი). დამსმენები, ჯალათები და სხვა ჯურის კოლაბორაციონისტი-დამნაშავეები ჩვენს შორის არანაკლებნი იყვნენ, ვიდრე სხვაგან; და "ქართული" წვლილით ბოლშევიზმში ზოგადად არავის ჩამოვუვარდებით, თუ არ აღვემატებით. "საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის" ზედაპირული ექსპოზიცია უშველის ამ მემკვიდრეობას?

ჩვენივე არც თუ შორეული ისტორიის ეს სამარცხვინო პერიოდი თუ არ არის სათანადოდ შესწავლილი, გააზრებული და დაგმობილი, მაშინ ყოველთვის იარსებებს რისკი წარსულის რეციდივისა. კომუნისტური პერიოდის დროინდელი ჩვენი ეროვნული კონფორმიზმი დღესაც ხომ მტკივნეულად იჩენს ხოლმე თავს. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზემოთ ხსენებულ რეზოლუციაშიც ეს წერია (პუნქტი 7): "ასამბლეა დარწმუნებულია, რომ ისტორიის ცოდნა ერთ-ერთი წინაპირობაა მომავალში მსგავსი დანაშაულების თავიდან აცილებისა".

ერთ წელზე მეტია (2005 წლის დეკემბრიდან) საქართველოს პარლამენტში დევს ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" მიერ შემუშავებული კანონპროექტი ლუსტრაციის შესახებ. ილუზია იმისა, რომ უმრავლესობა მას ტაშ-ფანდურით დაამტკიცებს, არ გვქონია, მაგრამ გვქონდა იმედი, რომ იგი იმპულსის როლს შეასრულებდა, პროვოცირებას გაუკეთებდა ფართო საზოგადოებრივ დისკუსიას და საბოლოოდ მოხერხდებოდა თუნდაც სრულიად განსხვავებული კანონის მიღება პარლამენტის მიერ. ნურას უკაცრავად, როგორც იტყვის ხოლმე ჩვენი პრეზიდენტი; საქმე ვერა და ვერ წავიგდეთ წინ.

საპარლამენტო უმრავლესობა უშუალოდ ლუსტრაციას ეწინააღმდეგება? სხვა გზებიც არის. გასული წლის 18 დეკემბერს (ანუ – სულ რაღაც 80 დღის წინ) რუმინეთის პრეზიდენტი წარსდგა მოხსენებით პარლამენტის წინაშე, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად დაგმო კომუნისტური წარსული (ყველას გირჩევთ ყურადღებით გაეცნოთ ამ სიტყვას)[8]. ოღონდაც, ნუ გაუხარდებათ მარტივი გადაწყვეტილებების მოყვარულთ ჩვენს ხელისუფლებაში –

[8] სიტყვა გამოქვეყნებულია რუმინეთის პრეზიდენტის საიტზე http://www.presidency.ro/

საქართველოს პრეზიდენტიც თავის რომელიმე გამოსვლაში მწარე-მწარე ეპითეტებით შეამკობს კომუნიზმს და საქმეც მოთავებულად ჩაითვლებაო. რუმინეთში (რომლის უშიშროების სამსახური "სეკურიტატე" განთქმული იყო თავისი სისასტიკით) ჯერ მიიღეს კანონი ტრანსპარენტობის შესახებ (არქივების გახსნა) და შექმნეს კომისია, რომელმაც გააანალიზა კომუნისტური დიქტატურა ამ ქვეყანაში. კომისიის მოხსენების საფუძველზე კი რუმინეთის პრეზიდენტმა ტრაიან ბუჩესკუმ გამოიტანა დასკვნა, რომ: "ჩვენ გვაქვს საკმარისი მონაცემები, რათა დავგმოთ რუმინეთში კომუნისტური რეჟიმი აპელაციის უფლების გარეშე. დემოკრატია მეხსირების გარეშე ყოველთვის განსაცდელში იქნება. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რათა თავიდან ავიცილოთ წარსულის შეცდომები". მხოლოდ ამგვარმა მიდგომამ მისცა მას უფლება დაესკვნა: "პასუხისმგებლობით განმსჭვალულნი დღეს ჩვენ შევიკრიბეთ აქ, რათა დასრულებულად მივიჩნიოთ ავბედითი ეტაპი ჩვენი ქვეყნის წარსულისა".

საქართველოში დღემდე ჩვენ ეს, სამწუხაროდ, არ გვეთქმის; აუცილებელი ნაბიჯი თავისუფლებისკენ ჯერაც არ გადაგვიდგამს.

ლაშა ბაქრაძე – რასაკვირველია, დეკომუნიზაცია ოფიციალურად თითქოს ხელისუფლებასაც უნდა, მაგრამ ფაქტია, რომ ძალიან ნელა მივდივართ ამ მიზნისკენ. უკვე 3 წელია, რაც ახალი ხელისუფლება არის სათავეში, მაგრამ ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯი არ გადადგმულა. თავისთავად ის, რომ "კაგებეს" არქივი დღესაც შინაგან საქმეთა სამინისტროშია და არ არის გამოტანილი იქიდან, - იმისათვის, რომ უფრო ადვილად მისაღწევი იყოს საზოგადოებისათვის - მოწმობს იმას, რომ ამის სურვილი არ არსებობს. ახლა გავიგეთ, რომ პარტიის არქივიც, რომელიც "იმელის" შენობაში იყო, გადაეცემა შინაგან საქმეთა სამინისტროს. ვფიქრობ, რომ ვიდრე კანონს მიიღებენ, კარგი იქნება, თუკი ეს არქივი გამოეყოფა შინაგან საქმეთა სამინისტროს და გახდება დამოუკიდებელი არქივი: ისე როგორც ეს სხვა ქვეყნებში მოხდა. მაგალითად, პოლონეთში შეიქმნა ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტი, ასეთი ინსტიტუციის არსებობა არის აუცილებელი. ასევე მისაღები არის ჩეხეთის გამოცდილება, რომელთაც მიიღეს –კომუნისტური რეჟიმის უკანონონოდ ცნობის კანონი. თუ ასეთი ნაბიჯები არ გადაიდგა უახლოეს მომავალში, ჩვენ უფრო და უფრო დავშორდებით ამ მიზანს. საინტერესოა, რატომ არის ასეთი პრობლემა ხელისუფლების მხრიდან, იმასთან დაკავშირებით, რომ ამ საკითხზე დაიწყოს აქტიური საუბარი, როგორც საზოგადოებაში, ასევე ხელისუფლებაში? რატომ არ ვცდილობთ ჩვენი საკუთარი შორეული თუ ახლო წარსულის გააზრებას და შეფასებას?

ნიკოლოზ რურუას სიტყვა

თქვენის ნებართვით, ოკუპაციის მუზეუმის თემას დავუბრუნდები. ჩვენ შეგვიძლია ვიკამათოთ ამ მუზეუმის სახელწოდების შესახებ, მაგრამ ამის გამო ჩვენ უსასრულოდ შეგვიძლია ვიკამათოთ საკითხზე - უნდა ერქვას თუ არ უნდა ერქვას ამ მუზეუმს ოკუპაციის მუზეუმი, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს. რაც შეეხება ოკუპაციის ფაქტს, ჩვენ რომ ვთქვათ, რომ ჩვენ უბრალოდ გავხდით, როგორც ქვეყანა, საბჭოთა ოკუპაციის მსხვერპლი და შემდეგ ვამტკიცოთ, რომ ეს ასე არ იყო – ეს იქნება უგუნურება და საკუთარი თავის მოტყუება! თუნდაც ფაქტი, რომ ორი ქართველი[9] ხელმძღვანელობდა ამ ოკუპაციას, ეს არ აყენებს ქართველ ერს იმ დამნაშავის პოზიციაში, რომ თქვას, თითქოს მან ეს დაიმსახურა. ეს სისტემა დაფუძნდა 1921 წლიდან, რომლის შემდეგაც იყო არა ერთი მცდელობა, რომ ამ ძალადობას შეწინააღმდეგებოდნენ იარაღით ხელში. აჯანყებები მოხდა როგორც 1922 წელს, ასევე 1924 წელს და ეს გრძელდებოდა დაახლოებით 40-იან წლებამდე. როდესაც შეიარაღებული აჯანყებების ისტორია დამთავრდა საქართველოში, სწორედ მაშინ დაიწყო აქტიური კოლაბორაციონიზმი კომუნისტურ სისტემასთან. ერი დაიღალა, სულიერად გატყდა და სამწუხაროდ ხალხმა სიმშვიდე ამჯობინა შეიარაღებულ წინააღმდეგობას. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი წინააღმდეგობების შემთხვევები დაფიქსირებულია. ცოტა ხნის წინ, მე და ჩემი მეგობრები სრულიად შემთხვევით გადავაწყდით დოკუმენტს, რომელიც ეხება საქართველოს საბჭოთა ოკუპაციას და არის შედგენილი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში 50-იან წლებში. ეს არის სპეციალური ანგარიში, რომელიც უკვე გამოიცა და მალე მისი პრეზენტაცია მოხდება, სწორედ ოკუპაციის მუზეუმში. ეს ანგარიში დეტალურად მოიცავს იმ ისტორიულ მომენტებს და კრიზისს, რომელიც მოჰყვა საქართველოს წითელი არმიის მიერ დაპყრობას.

რაც შეეხება თავად ლუსტრაციის იდეას, არ მგონია, რომ ამას ვინმე მოწინააღმდეგე ყავდეს საქართველოში. არის რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც გასათვალისწინებელია. ჩემი აზრით, გერმანიაში საბჭოთა რეჟიმი მოქმედებდა გერმანული წესრიგით, საქართველოში კი - ნაკლებად ორგანიზებული სახით. ბევრი სახელი და გვარი, რომელიც არსებობს იმ სიაში, არის უშიშროების აგენტის მიერ ე.წ. გადაბირებული პირი, ამიტომ შესაძლებელია ეს სიყალბე და ტყუილი აღმოჩნდეს. და რატომ? საბჭოთა უშიშროებაში დაწინაურების სისტემა დამყარებული იყო იმაზე - გარკვეულ რგოლებში მაინც – ვინ უფრო მეტ ადამიანს მიიმხრობდა და გადაიბირებდა მოსახლეობიდან. ამდენად ე.წ. მიწერების პრაქტიკა ფართო გამოყენებაში იყო. ამას მოგახსენებთ საბჭოთა პერიოდის უშიშროების ნებისმიერი ცოცხალი ოფიცერი. ამდენად, თუ რამდენად სანდოა ეს სიები, ამას ჩვენ ვერ ვიტყვით.

[9] იგულისხმება იოსებ სტალინი და სერგო ორჯონიკიძე.

მეორე საკითხია ის, რომ ნაწილი მართლაც ფასეული სიებისა გაიტანეს სმოლენსკში[10]. ნაწილი კი დაიწვა, რაც ასევე ართულებს ამოცანას. ჩემს ოპონენტებს, ბუნებრივია, ურჩევნიათ, რომ ლუსტრაციის ინიციატორები იყვნენ, რადგან მორალურად ეს ძალიან მომგებიანი თემაა. ამიტომ პოლიტიზირება ლუსტრაციისა, ამ ნამდვილად საჭირო პროცესის გაიაფების საფრთხეა. შესაბამისად, საჭიროა კომუნიზმის, როგორც დანაშაულებრივი რეჟიმის გასამართლება. ამის ინიცირება შეიძლება - კომუნისტური სიმბოლოების დემონტაჟითაც შეიძლება; როგორც ვიცით, სტალინის ძეგლი ჯერ კიდევ დგას საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში. ასე, რომ ასეთი აქციები შეიძლება იყოს დაწყებული, მაგრამ ზოგადად ლუსტრაცია, როგორც პროცესი, ტექნიკურად ძალიან მოუმზადებელია. ამისთვის ჯერ მზად არ ვართ, თუმცა ვიზიარებ, რომ საჭიროა.

რაც შეეხება იმ არსებულ ინფორმაციას, რომელიც ღიად დევს უშიშროების არქივში და ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო, ვიდრე ის გადავიდოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში, დღეს ის ორგანიზებულ მდგომარეობაშია და ნებისმიერი მსურველისათვის ხელმისაწვდომია. ჩემთვის ცნობილია, რომ ის რეპრესიები, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1921 წლიდან დაახლოებით 1940 წლამდე, ძალიან კარგად არის დოკუმენტირებული. შემდეგ უკვე, როდესაც რეპრესიების და დეპორტაციების ტალღამ, სტალინის სიკვდილთან ერთად შედარებით იკლო, აქედან იწყება უკვე ინტენსიური აგენტურული მუშაობა და ეს ყველაფერი ნაკლებად არის დაფიქსირებული ამ დოკუმენტებში. ნაწილი, როგორც უკვე აღვნიშნე, გატანილი და განადგურებულია და რაც არსებობს, ნაკლებად სანდოა. ასე, რომ გერმანიის ანალოგიური სიტუაცია არ გვაქვს. ეს არის რამდენიმე ხელის შემშლელი ობიექტური პირობა. სხვა მხრივ კი მე არ მგონია, რომ ამ იდეას მოწინააღმდეგე ჰყავდეს საპარლამენტო უმრავლესობაში.

ლაშა ბაქრაძე – სამწუხაროდ, უნდა ვთქვათ, რომ გარკვეული პრობლემები ამ სიებთან დაკავშირებით მართლაც არის. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ აქტების მიხედვით ვერ დავადგენთ, ამ ადამიანებისგან ვინ რა ზომით თანამშრომლობდა "კაგებესთან". მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ოპერატიული მონაცემების დაახლოებით 20 პროცენტი არსებობს და ვფიქრობ, თუნდაც ეს პატარა ნაწილი ძალიან მნიშვნელოვანია უახლესი ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, რადგან თვითოეულ მაგალითზე კარგად ჩანს, თუ როგორ ფუნქციონირებდა სისტემა. საბოლოოდ შეიძლება დაისვას ასეთი კითხვა: არის გარკვეული წრეები, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ამ წარსულის შესწავლით, მაგრამ რამდენად მაღალია საზოგადოების მხრიდან ამის მოთხოვნა ან კი უბრალოდ ინტერესი?

[10] 1990 წელს

გიგა ზედანიას სიტყვა

პირველ რიგში ვიტყოდი, რომ როდესაც ლუსტრაციაზე ვლაპარაკობ, ვგულისმობ იმ პროცესს, რომელიც ხელს შეუშლის გარკვეული წარსულის მქონე ადამიანებს, დაიკავონ თანამდებობები საჯარო სამსახურში. ლუსტრაციის ამ პროცესის სამოტივაციოდ შეიძლება ორი ასპექტი გამოვყოთ: ერთი არის პრაგმატული მოტივაცია, როდესაც დემოკრატიული რეჟიმი თავს იცავს ამ ადამიანებისგან, ვის მორალურ თუ პოლიტიკურ ინტეგრულობაში ეჭვი ეპარება; მეორე მოტივი კი არის სამართლიანობის აღდგენა. თუ პრაგმატული პოზიციიდან შევხედავთ, ჩვენ ძალიან დავაგვიანეთ. უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში ის პროცესები, რომლებიც ლუსტრაციის კანონს უნდა შეეჩერებინა, ჩვენს ქვეყანაში მოხდა. საქართველოში აღდგა საბჭოთა ნომენკლატურა და ლუსტარაციის კანონის ფუნქცია სხვა ტიპის პროცესებმა იკისრა. პოლიტიკურ სფეროში ეს იყო 2003 წლის რევოლუცია, რომელმაც მოახდინა დე ფაქტო ლუსტრაცია, მაგრამ ვერ მიიყვანა ის ბოლომდე. განათლების სისტემაში ეს იყო განათლების რეფორმა, რომელმაც ბევრი "ღვაწლმოსილი" ადამიანი ჩამოაცილა ამ სფეროს. კულტურის სფეროში კი ადგილი ჰქონდა ბუნებრივ პროცესს, როდესაც ძველი თაობა წავიდა და ახლები მოვიდნენ, ნაწილობრივ მაინც. ინსტიტუტი, სადაც ეს ჩანაცვლება არ მომხდარა, არის ეკლესია, რომელსაც, ყველა სოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით, ქართული მოსახლეობა ყველაზე სანდო ინსტიტუტად მიიჩნევს. ამ სფეროს სახელმწიფო ვერ დაარეგულირებს, მაგრამ, ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო იქნებოდა 1921 დან 1991 წლამდე ეკლესიის ისტორიის დაწერა.

რაც შეეხება თვითონ ლუსტრაციის კანონს, მე ვიცნობ კანონის შექმნის ორ ასეთ მცდელობას: პირველი იყო "დემოკრატიული ფრონტის" მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი, ხოლო მეორე - "თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ წარმოდგენილი კონცეფცია. ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი პროექტი ძალიან ვიწროა, "თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ წარმოდგენილი კონცეფცია უფრო ფართოა, მაგრამ მისი განხორციელების პერსპექტივაში ეჭვი მეპარება – იქ, მაგალითად, ლუსტრირებადი ადამიანების სიაში შედიან რეჟიმის იდეოლოგიური მხარდამჭერებიც, რისი რეალიზებაც ძალიან რთული იქნება, გასაგები მიზეზების გამო. მაგრამ, მგონია, რომ მთავარი პრობლემა ლუსტრაციასთან დაკავშირებულ დავაში ის არის, რომ ეს უკანასკნელი იზღუდება პოლიტიკის სფეროთი; საქართველოში არ მიმდინარეობს არანაირი დისკუსია წარსულის შესახებ, კონკრეტულად კი საბჭოთა წარსულის შესახებ. ამის მიზეზი გასაგებიც არის, რადგან საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, იმდენი რამ მოხდა (სამოქალაქო ომი, ტერიტორიული კონფლიქტები), რომ ეს პრობლემატიკა უკანა პლანზე გადავიდა.

მაგრამ უდავოდ არის პრობლემები, რომლებიც სწორედ საბჭოთა წარსულთანაა უშუალო კავშირში და რომელთა არგათვალისწინებამ შეიძლება ძალიან ცუდი შედეგი მოგვიტანოს. მაგალითად, ოკუპაციასთან დაკავშირებით დავაში მინდა ჩავერიო და ვთქვა, რომ რასაკვირველია აბსოლუტურად მართალია ის, რომ საქართველო იყო ოკუპირებული, მაგრამ ეს არის ამ სიმართლის მხოლოდ ნაწილი. მეორე ნაწილი კი იმაში მდგომარეობს, რომ

საბჭოთა იდენტობა ჩვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე, მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ან კიდევ ბალტიისპირეთის ქვეყნებისათვის. ამას ძალიან მარტივი მიზეზი აქვს - მეორე მსოფლიო ომის დროს ჩვენ ვიცავდით არა საქართველოს, არამედ საბჭოთა კავშირს. ჩვენი იდენტობის ეს ნაწილი შევიდა ისტორიაში. ამ ნაწილის ისტორიული გამოკვლევა აუცილებელია.

ასევე მინდა ვთქვა - იმავე სტალინთან და 1956 წლის 9 მარტთან დაკავშირებით - მე ვერ დავეთანხმები ბატონ ივლიანე ხაინდრავას, თითქოს სტალინის შესახებ დისკურსის უკან ავთენტური გრძნობა იმალებოდა. უკანასკნელმა დებატებმა პარლამენტში, რომლებშიც ლუსტრაციას და სტალინის თემები გადაიკვეთა, აჩვენა, რომ გარკვეული აზრით სტალინის ფიგურის პოპულარობა საქართველოში შეიძლება დაკავშირებული იყოს ჩვენს მიერ წარსულის ცალმხრივ ხედვასთან. თუკი ჩვენ საკუთარ თავს მხოლოდ მსხვერპლად აღვიქვამთ, სწორედ მაშინ ჩნდება ჰიპერკომპენსაციის ფიგურა – სტალინი - რომელსაც დამპყრობლის დაპყრობის შესაძლებლობა ჰქონდა და, შესაბამისად, მისი პოპულარობა დღევანდელ საქართველოში სრულიად აღარაა მოულოდნელი. ამიტომაც მგონია, რომ ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღება უნდა იყოს მხოლოდ დასაწყისი უფრო ფართო საზოგადოებრივი პროცესისა, რომლის მიზანიც იქნება საბჭოთა წარსულის გაგება და გადალახვა, პროცესისა, რომელშიც ჩაერთვებოდნენ აკადემიური წრეები, მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები. დღეს კოდურ სიტყვას “ლუსტრაცია” წარმოადგენს, მაგრამ ვისურვებდი, ის შეცვლილიყო სხვა ტერმინით – იქნებოდა ეს “წარსულის დაძლევა”, “წარსულის გადალახვა,” თუ გერმანული ტერმინოლოგიის შესაბამისი სხვა ქართული სიტყვა, რაც უფრო ფართო განზომილებას მისცემდა ამ ყოველივეს.

მინდა დავამთავრო მერაბ მამარდაშვილის ერთი მოსაზრებით, რომელიც, მგონი, ძალიან უხდება ამ თემას. მამარდაშვილი წარსულს განიხილავდა აზროვნების მტრად, რომელიც თუ არ გაიგე, განმეორდება. ამ შემთხვევაში, განმეორდება არა იმიტომ, რომ, მაგალითად, საბჭოთა კავშირი აღდგება. მეორდება ის, რაც ჩვენ არ ვიცით ისტორიაში.

ლაშა ბაქრაძე – ძალიან საინტერესოა, რომ საქართველოში დიფერენცირებული დამოკიდებულებაა ამ თემის მიმართ და სამწუხაროდ, რომ არა უცხოელი სტუმრები, უცხოური ორგანიზაციები, ასეთი დისკუსიები დამოუკიდებლად არ მიმდინარეობს. მე ვიმედოვნებ, ჩვენი საუბარი მომავალ დისკუსიებსაც მისცემს ბიძგს ლუსტრაციასთან დაკავშირებით. მინდა დავუბრუნდე ბატონ იოახიმ გაუკს და ვკითხო, როგორია მისი შთაბეჭდილება, რისი გაკეთება არის შესაძლებელი და რა რჩევას მოგვცემდა ის.

იოახიმ გაუკი - დიდ მადლობას მოგახსენებთ კიდევ ერთხელ. რასაკვირველია, მე არ მაქვს მზა რეცეპტი საქართველოსთვის და არც მინდა, რომ მქონდეს, ამისათვის მე საკმარისად არ ვიცნობ ამ ქვეყანას. მაგრამ ამ დღევანდელი საუბრების შემდეგ, გარკვეული მომენტებია, რომელიც ჩემთვის ნათლად ჩანს. რაც უფრო დემოკრატიული გახდება ქვეყანა, მით უფრო მნიშვნელოვანი გახდება სამართლებრივი სახელმწიფოს ნორმები. თუკი ჩვენ

სახელმწიფოებრივად, სამართლებრივად ვაზროვნებთ, მაშინ ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი უფლება არის ინფორმაციული დამოუკიდებლობის ფუნდამენტური უფლება. ამის შესახებ ამერიკაში არსებობს კანონი, გერმანიაში არსებობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც გულისხმობს იმას, რომ ინფორმაცია ამა თუ იმ კონკრეტული პიროვნების შესახებ, პირველ რიგში ეკუთვნის სწორედ ამ კონკრეტულ პიროვნებას.

ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი, რაზედაც შეიძლება პირველადი შეთანხმება მოხდეს საზოგადოებაში, არის კონსენსუსი იმის შესახებ, რომ ინფორმაციაზე უფლების ამგვარი გაგება შეიძლება იქნას მიღწეული და კანონის სახით დარეგულირებული.

მე ეჭვი მეპარება, რომ აქ შეიძლება მოხდეს საჯარო სამსახურის ფორმალური ლუსტრაცია, როგორიც მოხდა გერმანიაში ან ჩეხეთში. ვფიქრობ, რომ პირველ რიგში ეს ხსენებული ტექნიკური მიზეზების გამო არის შეუძლებელი. ამიტომ თავად ამ ტერმინის გამოყენებას, ლუსტრაცია - იმის აღსანიშნავად, თუ რაც ხდება და რას ვაკეთებთ ჩვენ ჩვენს წარსულთან დაკავშირებით, ამას მივიჩნევდი ცოტა სახიფათოდ, რადგან ეს არ შეესაბამება იმ სინამდვილეს, რაც ხდება. მეორეს მხრივ, უნდა მოხდეს მორალური კონსენსუსის მიღწევა იმის თაობაზე, რომ თუნდაც ის ხალხი, ვინც ამ რეჟიმის მსხვერპლი იყო, ადამიანები, რომელთაც ყველაფერს არ მოაწერეს ხელი, ეს ხალხი ჩვენ შევინახოთ როგორც საგანძური, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია. მესამე არის დოკუმენტების მკაცრი გამიჯვნა; ნაწილი, რომელიც ტოტალიტარული დიქტატურის პირობებში შეიქმნა და ის დოკუმენტები, რომელიც შემდგომში, დემოკრატიული მმართველობის პირობებში შეიქმნა. დემოკრატიული მმართველობის პირობებში საარქივო დოკუმენტების დახურვა გარკვეული ვადით სრულიად გამართლებულია, მაგრამ ეს ვადები არ უნდა ეხებოდეს ტოტალიტარულ რეჟიმში შექმნილ დოკუმენტებს. რა თქმა უნდა, ვისურვებდი, რომ მკვლევარებისთვის და მედიის წარმომადგენლებისათვის ეს დოკუმენტები ხელმისაწვდომი გახდეს. ვფიქრობ, ამაზე თქვენ თავად უნდა შეთანხმდეთ.

და ბოლოს - კიდევ ერთი. მე მინდა ვუპასუხო ბატონ ნიკა რურუას, რომელიც ამბობს, რომ გერმანიაში ეს დოკუმენტები გერმანული წესიერებით იყო შედგენილი, საქართველოში კი ქართული "მოწესრიგებულობით". ეს არგუმენტი ჩემთვის ნაცნობია პოლონეთიდან და რუმინეთიდან, სადაც ასევე ამბობდნენ, ჩვენ პოლონელები ან რუმინელები ვართ, გერმანელები კი არაო. მე შემიძლია ვთქვა, რომ ეს არგუმენტი მცდარია. რაც უფრო მეტი ასეთი სია ვნახე, მით უფრო დავრწმუნდი, რომ ეს არგუმენტაცია - თითქოს ვიღაცეები ამ სიაში ხელოვნურად არიან შეტანილები, და მათ ბრალი არ მიუძღვით, არც ერთხელ არ დადასტურებულა. მე ჩემს აზრს შევიცვლი მაშინ, როდესაც თქვენ მე მომიყვანთ კონკრეტულ მაგალითებს, კონკრეტულ გვარებს, რომელნიც ამ სიაში მოხვდნენ, მაგრამ დაზუსტებული ინფორმაციის მიხედვით, ისინი არ თანამშრომლობდნენ კომუნისტურ რეჟიმთან. ამიტომ უმჯობესი იქნება, ამოვიდეთ იქიდან, რომ სინამდვილეში უშიშროების აქტები იყო ხელსაწყო, იარაღი იმათთვის, ვინც ამით მუშაობდა. ასეთ აქტებში არასწორი ინფორმაციის

შეტანას აზრი არ ჰქონდა, რადგან შემდეგი, ვინც იმ სამსახურში მივიდოდა, ამ ე.წ. დეზინფორმაციის საფუძველზე ვეღარ იმუშავებდა და იმ ინფორმაციას ვეღარ გამოიყენებდა მისი მთავარი მიზნისთვის. ამიტომ დავიჯეროთ, რომ კომუნისტური რეჟიმის საიდუმლო დოკუმენტები - სერიოზული დოკუმენტებია.

და კიდევ ორი სურვილი. ის რაც დაიწვა, ალბათ, იმას ვეღარ დაიბრუნებთ, მაგრამ ამ ინფორმაციის ნაწილი შესაძლებელია, იყოს მოსკოვის ცენტრალურ არქივში. თუკი მოსკოვში აღმოჩნდებიან ისეთი მმართველები, რომელნიც დემოკრატიის საკეთილდღეოდ ამ ინფორმაციას გახსნიან, ვფიქრობ, თქვენ საკმაოდ ბევრ დამატებით ინფორმაციას მიიღებთ. გარდა ამისა, არსებობს დამატებითი ინფორმაციის წყარო - ეს არის პარტიების არქივები. ბევრი მნიშვენელოვანი დოკუმენტები "კაგებეს" არქივებიდან მიდიოდა პარტიულ არქივებში. ამიტომ მე გისურვებდით, რომ კი არ იკამათოთ ლუსტრაციის პროცესის სხვადასხვა ტექნიკურ საკითხებზე, არამედ იფიქროთ იმაზე, თუ რა გზები არსებობს იმისათვის, რომ ინფორმაცია გახდეს რაც შეიძლება გახსნილი. გახსნილი თუნდაც ადამიანთა იმ ჯგუფისათვის, რომელნიც საღად უყურებენ საკუთარ ისტორიას. სწორედ იმისათვის, რომ ის ცუდი მხარეები, რომლის შესახებაც შესაძლებელია, ყველას არ სმენია - მომავალში არ განმეორდეს.

მასალა მოამზადა ნინია კაკაბაძემ

რედაქცია – ნინო ლეჟავა